



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 72
29/10/2015

72-06-4-201510291426



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ნანა თავდუმაძისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში წამყვანი სპეციალისტის ქეთევან ჭელიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნანა თავდუმაძე და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში წამყვანი სპეციალისტი ქეთევან ჭელიძე მივლინებული იქნას ქალაქ ქობულეთში, სადაც ტარდება ტრენინგი „საჯარო მოხელეთა ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებში“, მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის 2 ნოემბრიდან-4 ნოემბრამდე, 2 დღით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში .

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო